პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 54 (3538)

19

1968 წ. მარტი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დამთავრდა თბილისის პირად-გუნდური პირველობა კრივში.
ს უ რ ა თ ზ ე: ნ. გარაბაჯი (მარცხნივ) და ა. ხორნაული.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

●

(შეჯიბრების ანგარიში იხილეთ ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში).

## სტარტი აღებულია

თბილისის ვაჟთა საჭადრაკო პირველობაში 2 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ: თ. გიორგაძე — 2 ქულა, ზ. მიქაძე, ვ. ვეფხიშვილი — 1,5-1,5, რ. ჯინჯიხაშვილი, ო. ელიოზიშვილი — 1-1.

სტარტი კარგად აიღო ოსტატმა გიორგაძემ. I ტურის პარტიაში ა. ბოკუჩავასთან მისი სტრატეგიული ჩანაფიქრი უფრო ღრმა იყო, ვიდრე მეტოქე ფიქრობდა. ეს ბოკუჩავამ მხოლოდ ენდშპილში აღმოაჩინა, როცა საქმეს აღარაფერი ეშველებოდა. გიორგაძემ II ტურშიც გაიმარჯვა (ი. გასპაროვთან).

ვარლამ ვეფხიშვილი, ყველაზე უმცროსი მონაწილე, პირველად თამაშობს ჩემპიონატში. ა. წერეთელთან ყაიმს II ტურში მან სრულფასოვანი გამარჯვება დაუმატა. ე. კარკმაზოვმა დებიუტშივე მწვავე თამაში შესთავაზა მას. ჭაბუკმა მოჭადრაკემ ზუსტად გაითვალა გაცვლითი ვარიანტი და ფიგურა მოიგო. გათამაშდა მხოლოდ 16 სვლა.

ზ. მიქაძემ პირველი ქულა ნ. ალექსანდრიასთან მოიპოვა. ნანა თვითონ მიილტვოდა გართულებისკენ, მაგრამ კრიტიკულ მომენტში შეცდა. მეორე დღეს „დიდოსტატური ყაიმით" დასრულდა ს. მეგრელიშვილ — მიქაძის შეხვედრა.

რ. ჯინჯიხაშვილმა თ. ღოშაიასთან თამაშის დროს ოსტატურად შეზღუდა მეტოქის მხედარი. ეს მან გამოიყენა მატერიალური უპირატესობის მისაღებად. აღსანიშნავია პარტიის ფინალი (ეტლების ენდშპილი), რომელიც საქართველოს ჩემპიონმა შთამბეჭდავად ჩაატარა. ჯინჯიხაშვილისა და გ. მაჭავარიანის I ტურიდან გადადებულ პარტიაში ყაიმია მოსალოდნელი.

ნანა ალექსანდრია პირველი წარუმატებლობის მიუხედავად ჩვეული ხალისით იბრძოდა ო. ელიოზიშვილთან. მან პაიკიც მოიგო. ამბობენ, რომ გადადებულ პოზიციაში ყაიმია მოსალოდნელი.

II ტურის სხვა შეხვედრების შედეგები ასეთია: ბოკუჩავამ მოუგო გ. კალატოზიშვილს, ყაიმზე შეთანხმდნენ ე. უბილავა — გ. მაჭავარიანი. 3 პარტია გადაიდო.

პირველ ორ ტურში წაგების სიმწარე ექვსმა მონაწილემ იწვნია. შემდგომი ბრძოლა ალბათ კიდევ უფრო „სისხლისმღვრელი" იქნება.

თბილისის ჭადრაკის ფედერაციამ პირველობაში მეთვრამეტე მონაწილედ ოსტატობის კანდიდატი ვ. ციხელაშვილი დაუშვა. სატურნირო ცხრილში იგი პირველი ნომერია, ს. მეგრელიშვილი — მეთვრამეტე.

თ. ნინოშვილი.



საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ლიუდმილა კორკოტაძემ კარგად დაიწყო წლევანდელი სეზონი. მან ჯერ ქალთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში იასახელა თავი, შემდეგ თბილისის ფიზკულტურული კოლექტივების მძლეოსანთა შეჯიბრებაში 300 მეტრზე რბენა მოიგო.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ლ. კორკოტაძე ასპარეზობის დროს.

ფოტო თ. გელაშვილისა.

## წ ა უ გ ე ბ ლ ა დ...

მოსკოვი, 18 მარტი. მაგიდის ჩოგბურთელთა დედაქალაქის საერთაშორისო ტურნირში ჩვენმა ქალთა გუნდმა მოუგო გდრ-ს (3:0), შვეციას (3:0), ფინალში კი — ჩეხოსლოვაკიას — 3:0. ვაჟთა კოლექტივმაც დაუმარცხებლად დაამთავრა ტურნირი. იგი ფინალში შეხვდა ჩეხოსლოვაკიის გუნდს და დაამარცხა ანგარიშით — 5:1.

## კიდევ ერთი ჯიჯულის...

ნოვოსიბირსკში დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა ბიატლონში. 20 კილომეტრზე სროლით რბენამ 96 მონაწილეს მოუყარა თავი. ყველაზე დიდ წარმატებას მასპინძლებმა მიაღწიეს. „ოქრო" მოიგო მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, ნოვოსიბირსკის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ასპირანტმა ვ. მამატოვმა — 1:40.5. აღსანიშნავია, რომ ამ ქალაქში სწორედ მამატოვის ნახაზების მიხედვით ააგეს ჩვენს ქვეყანაში პირველი სასროლეთი ბიატლონისტებისთვის. II და III ადგილებიც ნოვოსიბირსკელებს ხვდათ, ვერცხლის მედალი მიიღო ბ. ივანოვმა, ბრინჯაოსი — ი. კოლმაკოვმა.

შემდეგ გაიმართა ესტაფეტი 4×7,5 კილომეტრზე. აქაც მასპინძლებმა იმარჯვეს. კვარტეტის მეოთხე წევრი გახლდათ ლ. ისაკოვი — 2:49.05.



კომკავშირისა და დოსააფის ყვარლის რაიონულმა კომიტეტებმა მოაწყვეს შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში. ვაჟებში ყველაზე უკეთ გამოვიდნენ ნ. ჯანგულაშვილი და მ. ყამუტაშვილი, გოგონებში კი ჩემპიონობა ყვარლის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლემ დ. გელაშვილმა მოიპოვა. გუნდურ ჩათვლაში ყველას ყვარლის 1-ლი სკოლის მოსწავლეებმა აჯობეს.

გ. გოგინაშვილი,
გაზეთ „ყვარლის" ლიტმუშაკი.

● ● ●

ს უ რ ა თ ზ ე: შეჯიბრების მონაწილენი. მარცხნიდან — ნ. ჯანგულაშვილი, დ. გელაშვილი და მ. ყამუტაშვილი.

ფოტო ბ. ჩოხელისა.

## უძლიერესთა მონაწილეობით

დამთავრდა საქართველოს ახალგაზრდა მაგიდის ჩოგბურთელთა პირველობა. შეჯიბრებაში 14 გოგონა და ამდენივე ჭაბუკი მონაწილეობდა.

გოგონებში ყველას აჯობა ლ. კარპენკომ (თბილისის „სპარტაკი"). II ადგილზე გავიდა ლ. კამენსკაია (თბილისის „დინამო"), III — ლ. ვასილიევა (ბათუმის „ბურევესტნიკი").

ვაჟებში რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვა ბათუმელმა ი. კაპლანიანმა („ბურევესტნიკი"). II ადგილზეა ვ. გორგიშელი (თბილისის განათლების განყოფილება), III — ჩემპიონის თანაკლუბელი, თბილისელი გ. მელაძე.

გოგონათა წყვილებში პირველობა დაისაკუთრეს ა. სუჯაშვილმა (თბილისის „ბურევესტნიკი") და კამენსკაიამ. II ადგილზე გავიდნენ მ. ჭუბაბრია და გ. რომახოვა (ორივე — თბილისის „ბურევესტნიკი"), III — ვასილიევა და ს. მკრტიჩიანი (თბილისის განათლების განყოფილება). ვაჟთა წყვილებში უძლიერესნი იყვნენ მელაძე და გორგიშელი. II ადგილზე გავიდნენ კაპლანიანი და ს. წილოსანი (ბათუმის „ბურევესტნიკი"), III — ლ. ეფიმოვი (თბილისის „ბურევესტნიკი") და დ. არუთინოვი (თბილისის განათლების განყოფილება). შერეულ წყვილებში ტოლი არ ჰყავდათ სუჯაშვილსა და მელაძეს. II ადგილზე არიან ვასილიევა — კაპლანიანი, III — კამენსკაია — გორგიშელი.

## ჩემპიონის დამარცხდა და ვიცე-ჩემპიონის

როგორც ვიუწყებოდით, კვირას კაუნასსა და ივანო-ფრანკოვსკში დაიწყო სსრ კავშირის ხელბურთელთა VII ჩემპიონატი. გუშინ ჩვენი კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა კაუნასსა და ივანო-ფრანკოვსკს. გთავაზობთ ამ ქალაქებიდან მიღებულ ცნობებს.

კაუნასი, 18 მარტი. შარშანდელი ჩემპიონატის „ვერცხლის" პრიზიორმა, თბილისის „ბურევესტნიკმა" სტარტზევე წაიბორძიკა — დამარცხდა მინსკის „პოლიტექნიკთან", რომელთანაც მოგება ჰქონდა „დაგეგმილი". ვიცე-ჩემპიონმა I ტაიმი სამი ბურთის სხვაობით წააგო (7:10), II ტაიმი კი ფრედ (10:10) ითამაშა. საბოლოოდ მინსკელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 20:17. „ბურევესტნიკში" აღარ თამაშობს თ. ანთაძე, რომელიც გუნდში მუდამ „დირიჟორის" როლს ასრულებდა. გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" კორესპონდენტთან საუბარში ბურევესტნიკელთა ახალმა მწვრთნელმა ჯ. ცერცვაძემ სწორედ ეს დაასახელა მარცხის ერთ-ერთ მიზეზად და დასძინა: ამის გამო ჩვენ ახლა იერიშს ძირითადად გარემარბების საშუალებით ვახორციელებთო. ადგილობრივმა „ჟალგირისმა" ძაბაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა რიგის „დაუგავასთან" — 27:25 (15:12), ხოლო ტაშკენტის „ბურევესტნიკმა" მოუგო ზაპოროჟიეს „ალუმინსტროის" — 25:17 (19:7).

ქალთა გუნდების I ტურის შედეგები ასეთია: „ჟალგირისი" (კაუნასი) — „შვესა" (ვილნიუსი) 24:12 (14:2), „კალინინეცი" (სვერდლოვსკი) — „სპარტაკი" (ბაქო) 9:9 (6:3), „ლოკომოტივი" (ოდესა) — ბინათმშენებლობის კომბინატი № 3 (კიევი) 9:8 (6:4).

ივანო-ფრანკოვსკი, 18 მარტი. პირველსავე დღეს დამარცხდა შარშანდელი ჩემპიონი მოსკოვის „კუნცევოც". მას მოუგეს ძველმა მეტოქეებმა — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ხელბურთელებმა — 18:15 (9:6). კიევისა და ლვოვის არმიელთა გუნდების შეხვედრაში პირველმა იმარჯვა — 15:14 (5:6). კრასნოდარის „ბურევესტნიკმა" დიდი ანგარიშით დაამარცხა ბაქოს არმიელთა კოლექტივი — 17:9 (10:6).

ქალთა გუნდების პირველი მატჩები ასე დამთავრდა: „სპარტაკი" (კიევი) — „ბურევესტნიკი" (კიევი) 18:8 (7:2), „ლუჩი" (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი" (ჩერკასი) 14:10 (9:3), „ტექსტილშჩიკი" (ტაშკენტი) — „ბურევესტნიკი" (ალმა-ათა) 16:12 (7:6).

სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში

## 3 სანტიმეტრით

ბაქოში, აზერბაიჯანის იუნიორთა ზამთრის რესპუბლიკურ ტურნირზე გოგონათა ახალი საკავშირო რეკორდი დამყარდა. მისი ავტორია ნ. ბრინცევა, რომელმაც სიმაღლეზე ხტომაში 178 სანტიმეტრი დასძლია. ეს შედეგი 3 სანტიმეტრით სჯობს უკრაინელი ვ. კოზირის წინანდელ მიღწევას და წლევანდელ სეზონში საუკეთესოა მსოფლიოში. ბრინცევამ შეასრულა საერთაშორისო სპორტის ოსტატის ნორმა.



◆ კიროვი, 18 მარტი. ამ ქალაქის მკვიდრი ს. ზახაროვი გამარჯვებული გამოვიდა ტრამპლინიდან მხტომელთა აქ ჩატარებულ ასპარეზობაში. II ადგილი დაიკავა ბაკურიანელმა მ. გავამ.

◆ ტერსკოლი, 18 მარტი. მოთხილამურეთა საკავშირო ჩემპიონატში დღეს გაიმართა ქალთა ასპარეზობა გიგანტურ სლალომში. 1720-მეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად გაიარა სვერდლოვსკელმა სტუდენტმა გ. მალოზემოვამ — 1.45,6.

◆ ოტეპეა, 16 მარტი. მოთხილამურეთა საკავშირო ჩემპიონატში გაიმართა ქალთა რბოლა 5 კილომეტრზე. უძლიერესის სახელი მოიხვეჭა მოსკოველმა ა. კოლჩინამ. მან დისტანციის გავლას 18,46,0 მოანდომა.

## 22 მარტს

კავშირგაბმულობის მუშაკთა კულტურის სახლში (რუსთაველის პროსპექტი № 12/1) ჩატარდება რესპუბლიკის ფიზკულტურულ მუშაკთა აქტივის კრება. კრებაზე მოწვეული არიან პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დღის წესრიგი:

1. 1967 წლის შედეგები და რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანები (მომხსენებელი — საქართველოს სპორტკავშირის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე).

დასაწყისი 11 ს.

# დიდია სამოქმედო ასპარეზი

ფიზკულტურის კოლექტივებში

მეურნეობის ორსართულიანი შენობიდან კარგად მოჩანს აწყურის ციხე და სტადიონი. სტადიონზე მძლეოსნური ბილიკები და სექტორები, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები მოუწყვიათ. წლეულს მწყობრში ჩადგება ახალი საცურაო აუზიც.

აწყურის მერძევეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდებს ყველაზე მეტად ფეხბურთი უყვართ. მათი ფეხბურთელთა გუნდი საქართველოს პირველობაშიც მონაწილეობს. მათ ორჯერ მოიპოვეს „კოლმეურნის“ რაიონული თასი. უკვე მესამე წელია არ თმობენ რაიონის პირველობას აწყურელი მსროლელებიც.

აწყურელებს ერთი კარგი ტრადიცია აქვთ: ყოველი კალენდარული მატჩის წინ სარბიელს სხვადასხვა სოფლის ბავშვთა გუნდებს უთმობენ. ეს დიდად უწყობს ხელს ჭაბუკთა დაოსტატებას და პერსპექტიულ მოთამაშეთა შერჩევას.

მეურნეობის ფიზკულტურის კოლექტივს უნარიანად ხელმძღვანელობს ფიზკულტურის მეთოდისტი, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ვ. ჯორბენაძე, რომელიც აწყურელ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელიცაა.

თუ მოწინავე სპორტსმენებს მოიკითხავთ, უმალვე დაგისახელებენ ტრაქტორისტ მ. დემეტრაძეს, მძღოლ ა. გრძელიძეს, წყალსაქაჩის მემანქანეს თ. ნადირაძეს, შემდუღებელ ნ. მუმლაძეს, ზოოტექნიკოს ს. კვესელავას, მეველე შ. მელაძეს და სხვებს. ისინი სექციების საზოგადოებრივი მწვრთნელებიც არიან და მხარში უდგანან მეთოდისტს.

ფიზკულტურის კოლექტივის საბჭო დიდ ყურადღებას უთმობს მშრომელთა მასობრივ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს. თვალსაჩინოა დირექციის, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარება. საშუალო და უფროსი ასაკის მშრომელები თევზაობის, ნადირობის, ტურიზმის, ჭადრაკისა და შაშის სექციებში არიან გაერთიანებული.

წლეულს აწყურის მერძევეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობას რამდენიმე სოფელი შეუერთდა და მუშა-მოსამსახურეთა რიცხვმა ორი ათასს გადააჭარბა. როგორც მეურნეობის დირექტორმა ნ. სარჯველაძემ გვითხრა, დირექციას განზრახული აქვს ამ გაზაფხულს სპორტული ბაზების კეთილმოწყობისა და მშენებლობის ერთიანი ჩაატაროს. ეს, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო გაზრდის ფიზკულტურის კოლექტივის სამოქმედო ასპარეზს.

**თ. ბაჩეჩილაძე.**

აწყური,
ახალციხის რაიონი.

კალათბურთი

# გენერალური ბრძოლის წინ

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრები გუნდი ამხანაგურ შეხვედრებს ატარებს სამხრეთ ამერიკაში. გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ა. გომელსკიმ მოსკოვიდან გამგზავრების წინ კორესპონდენტებს განუცხადა, რომ ამ ტურნეს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან იგი, ფაქტიურად, ნაკრების ბოლო გამოცდა იქნება ოლიმპიური თამაშების წინ. მაგრამ, — განაცხადა ამავე დროს მწვრთნელმა, — ჩვენ შემდგომშიც შევიყვანთ გუნდის შემადგენლობაში იმ მოთამაშეებს, რომლებიც თავს გამოიჩენენ საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში. ასე იქნება მექსიკამდე ჩვენს გამგზავრებამდე. მწვრთნელმა ამ სიტყვებით ხაზი გაუსვა იმას, რომ ნაკრების ვარიანტი, რომელიც ამჟამად ურუგვაის სტადიონებზე გამოდის, არ არის საბოლოო და საჭიროების შემთხვევაში გადახალისდება.

ვინ იცავს ჩვენი გუნდის ღირსებას სამხრეთ ამერიკაში? როგორ გამოიყურება მსოფლიო ჩემპიონის სავარაუდო შემადგენლობა 1968 წლის ყველაზე პასუხსაგები ბრძოლის წინ? წინასწარ გეტყვით — ნაკრების შარშანდელი ბირთვი წელსაც ჩინებულ ფორმაშია და მისი მეხიკოში გამგზავრება ეჭვს არ იწვევს. რაც შეეხება დებიუტანტებს, მათ, როგორც ამბობენ, წინ აქვთ ბურთი და მოედანი. ივარგებენ — ნაკრებში არიან და ამ საპატიო უფლებას უბრალოდ შეინარჩუნებენ, ვერ ივარგებენ — გზას უფრო ღირსეულებს დაუთმობენ.

აი, იმ ნაკრების შემადგენლობა, რომელიც დღეს სამხრეთ ამერიკის სტადიონებზე გამოდის.

**მცველები:** ანატოლი კრიკუნი (ტარტუს „კალევი“, 1948 წელს დაბადებული, 189 სმ სიმაღლე), ალექსი ტამისტე (ტარტუს „კალევი“, 1946, 186), სერგეი ბელოვი (სვერდლოვსკის „ურალმაში“, 1944, 191), ზურაბ საკანდელიძე (თბილისის „დინამო“, 1945, 187), ნიკოლაი პოგულიაი (კიევის „სტროიტელი“, 1943, 187).

**თავდამსხმელები:** გენადი ვოლნოვი (ცსკა, 1939, 201), მოდესტას პაულაუსკასი (კაუნასის „ჟალგირისი“, 1945, 194), პრიიტ ტომსონი (ტარტუს „კალევი“, 1942, 192).

**ცენტრალური თავდამსხმელები:** იაკ ლიპსო (ცსკა, 1940, 200), ანატოლი პოლივოდა (კიევის „სტროიტელი“, 1947, 200), ვლადიმერ ანდრეევი (ცსკა, 1945, 215), ალექსანდრე პეტროვი (მოსკოვის „დინამო“, 1939, 211).

სსრ კავშირის წლევანდელი ნაკრების საშუალო სიმაღლეა 196 სმ, საშუალო ასაკი — 24,4 წელი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ნაკრები — 68“ თავის წინამორბედზე — მსოფლიოს ჩემპიონზე 0,2 უფრო მაღალია და ამდენივეთი უფრო „ხნიერი“.

## სეზონის საუკეთესო არბიტრები

კალათბურთის საკავშირო ფედერაციამ დაამტკიცა სეზონის საუკეთესო მსაჯების სია 1967 წლისათვის.

აი, როგორ გამოიყურება საუკეთესო არბიტრი ქალების ხუთეული (აქ, ისევე როგორც ვაჟებთან, სია რუსული ალფაბეტის მიხედვითაა შედგენილი): ვ. ვიტკო (მინსკი), ვ. ეროფეევა (მოსკოვი), მ. იონანე (რიგა), ზ. სტასიუკი (კიევი), გ. ფეოდოროვა (ლენინგრადი).

ვაჟთა ათეულში შევიდნენ: ს. აფანასიევი (ლენინგრადი), ა. დავიდსონი (მოსკოვი), დ. დავთიანი (ერევანი), ო. კამიშევი, ვ. კასატკოვი, ა. კოკორევი, ვ. კოსტინი (ყველა — მოსკოვი), ა. კიაბი (ტალინი), გ. მუხამეძიანოვი (ყაზანი), ნ. შარგანოვი (მოსკოვი).

# ორი მატჩი

გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული მატჩები.

**რიგა.** ადგილობრივი ვეფ-ისა და სვერდლოვსკის „ურალმაშის“ განმეორებით შეხვედრაშიც უპირატესობა მასპინძლების მხარეს იყო. მათ აქტივში მეტად საჭირო ქულა ჩაწერეს — 62:58.

**ტარტუ.** „კალევმა“ თავის მოედანზე მიიღო რიგის არმიელთა გუნდი და გაიმარჯვა — 94:85.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 28 | 21 | 7 | 1998—1868 | 21 |
| „დინამო“ (თბილისი) | 30 | 20 | 10 | 2196—2057 | 20 |
| ასკ (კიევი) | 30 | 20 | 10 | 2120—1965 | 20 |
| ცსკა | 30 | 18 | 12 | 1936—1863 | 18 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 30 | 17 | 13 | 1980—1951 | 17 |
| ვეფ (რიგა) | 30 | 16 | 14 | 2137—2116 | 16 |
| „კალევი“ (ტარტუ) | 31 | 16 | 15 | 2088—2024 | 16 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 30 | 15 | 15 | 2143—2100 | 15 |
| ასკ (რიგა) | 31 | 14 | 17 | 2248—2249 | 14 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 28 | 13 | 15 | 1799—1771 | 13 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 32 | 6 | 26 | 2174—2464 | 6 |
| „ბურევესტნიკი“ (ბაქო) | 32 | 5 | 27 | 2321—2719 | 5 |

# ერთი, მეტად საინტერესო ილეთი

ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინ ასე იყო: თუ მოჭიდავე ხალიჩაზე ჩამჯდარ მეტოქეს ფეხებით იჭერდა, ეს უკანასკნელი საშიშ მდგომარეობაში ითვლებოდა. ჭიდაობის წესებში ახლაც მითითებულია, რომ თუ მოჭიდავე ასეა ხალიჩაზე დაჭერილი და ზურგს უკან ხელს ეყრდნობა, მაშინ მეტოქეს მომგებიანი ქულა ეწერება. მაგრამ წესი წესია, ხოლო სამსაჯო პრაქტიკამ უკვე დიდი ხანია დაგვიმტკიცა, რომ ამ მდგომარეობისთვის ქულა არ იწერება, რადგან ასეთ თითქოსდა მოუხერხებელ პოზაშიც მოჭიდავე შეიძლება ძალიან საშიში იყოს. ჭიდაობის პრაქტიკამ გამოიმუშავა ბევრი ილეთი ასეთ მდგომარეობაში აქტიური ბრძოლისა.

ჯდომელა ბრძოლაში განსაკუთრებით საშიშია ცნობილი დაღესტნელი სპორტსმენი, სსრ კავშირის ნაკრების წევრი ი. შახმურადოვი.

განვიხილოთ ერთ-ერთი ძირითადი ვარიანტი შემტევი მოჭიდავის გადაბრუნებისა, როცა თავად შახმურადოვი ჯდომელა ჭიდაობს (ილეთს ატარებენ შახმურადოვის თანამემამულენი — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ასპირანტი მ. დიბიროვი და ამავე ინსტიტუტის სტუდენტი დ. მაგომეტოვი).

პირველ კადრში კონტრშემტევი მოჭიდავე (ის, რომელიც ზის) მარჯვენა ხელით შიგნიდან მოიგდებს მეტოქის ბარძაყს, ხოლო მეორე ხელით — მარჯვენა მკლავს. ამ მდგომარეობიდან იგი შეძლებდა შემტევის გადატრიალებას თავს ზევით. შემტევი თავდაცვის მიზნით მარჯვენა ფეხს მართავს და ხელს აშვებინებს მეტოქეს (კადრი 2). ამით იგი საყრდენისგან ათავისუფლებს მარჯვენა მხარეს და კონტრშემტევის პირობას ქმნის, რითაც სარგებლობს კიდეც მჯდომი მოჭიდავე.

მე-3 კადრზე შემტევის ხელების მდგომარეობა შეცვლილია. ახლა უკვე მარჯვენა ხელი ენერგიული მოძრაობით აწვება შემტევის ხელს ნიდაყვს ზემოთ. ამ დაწოლას ორი აზრი გააჩნია: მას მტკივნეული ილეთის სტრუქტურა აქვს (მაგრამ არა იმდენად, რომ მსაჯმა შეაჩეროს ორთაბრძოლა) და შემტევს აიძულებს შემობრუნდეს. მეორე მხრივ, ამ დაწოლის გამო ხელს მოჭიდავის გადატრიალების საწინააღმდეგო საყრდენად ვერ ვიყენებთ.

კონტრშემტევის მეორე ხელი ზურგს უკან ეყრდნობა ხალიჩას და ამით შემობრუნებისთვის აუცილებელ საყრდენს ქმნის. ტანი უკანაა გადაწეული, რათა ორივე მოჭიდავე გადაბრუნდეს.

ეს დინამიკური მდგომარეობა მეტოქის ზურგზე გადაბრუნების მთავარი მარცვალია.

მე-4 კადრზე ჩანს ენერგიული მოტრიალება მარცხნივ. ამასთან, მარჯვენა ფეხი (კადრი 5) ამაში ყველაზე აქტიურად მონაწილეობს და მეტოქის საწინააღმდეგო ფეხს მკვეთრად წევს.

მე-6 კადრზე გადაბრუნება დამთავრებულია. მეტოქე ბეჭებზეა.

**ი. ალიხანოვი,**
პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.


კადრი 1.


კადრი 2.


კადრი 3.


კადრი 4.


კადრი 5.


კადრი 6.

# ვეტერანის სახელობისა

გასულ კვირას გაიმართა შ. შავგულიძის სახელობის თასის III ტურის მატჩები რესპუბლიკის „ბ“ კლასის ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

I ქვეჯგუფში ფრედ ითამაშეს ჭიათურის „მაღაროელმა“ და ქობულეთის „შუქურამ“ — 1:1. ფოთის „კოლხეთმა“ ანგარიშით 2:0 დაამარცხა სოხუმის „დინამო“, ხოლო ლანჩხუთის „გურიამ“ მოუგო „ენგურს“ (ზუგდიდი) —1:0.

II ქვეჯგუფში პირველი გამარჯვება მოიპოვა გურჯაანის „ალაზანმა“ რუსთავის „მეტალურგთან“ შეხვედრაში — 2:1. ფრედ ითამაშეს მახარაძის „მერცხალმა“ და ცხინვალის „სპარტაკმა“ — 1:1.

### გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 19 მარტისთვის

I ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მაღაროელი“ (ჭიათურა) | 3 | 2 | 1 | 0 | 5—2 | 5 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 3 | 2 | 0 | 1 | 6—2 | 4 |
| „შუქურა“ (ქობულეთი) | 3 | 1 | 2 | 0 | 5—4 | 4 |
| „ენგური“ (ზუგდიდი) | 3 | 1 | 0 | 2 | 3—3 | 2 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 3 | 1 | 0 | 2 | 2—6 | 2 |
| „დინამო“ (სოხუმი) | 3 | 0 | 1 | 2 | 2—6 | 1 |

II ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (ცხინვალი) | 3 | 1 | 2 | 0 | 5—4 | 4 |
| „დილა“ (გორი) | 2 | 1 | 1 | 0 | 5—1 | 3 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 2 | 0 | 2 | 0 | 1—1 | 2 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 3 | 1 | 0 | 2 | 4—8 | 2 |
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 2 | 0 | 1 | 1 | 3—4 | 1 |

# მოკლე ამბები

● **რიგა**, 17 მარტი. თანამედროვე ხუთჭიდის ლატვიის ფედერაციის პრიზის გათამაშებაში მონაწილეობდნენ რსფსრ-ს, უკრაინის, აზერბაიჯანის, ხომხეთის, ლიტვის, საქართველოს, ყაზახეთის, მოსკოვისა და ლენინგრადის სპორტსმენები. მასპინძლებმა სამი გუნდი გამოიყვანეს. შეჯიბრება წლეულს 4 სახეობაში გაიმართა (გარდა ცხენოსნური კროსისა). პირად ჩათვლაში გაიმარჯვა ლიტვის წარმომადგენელმა ვ. შემელინმა — 3876,5 ქულა. ლიტველებმა გუნდურ ჩათვლაშიც ყველას აჯობეს და პრიზი დაისაკუთრეს. საქართველოს ხუთჭიდელები VI ადგილზე გავიდნენ.

● **სვერდლოვსკი**, 17 მარტი. გრენობლის ოლიმპიადის მონაწილე ი. ეგოროვამ (მოსკოვის ოლქი) ყველას აჯობა ფინეთის, შვეციისა და რსფსრ-ს მოციგურავეთა საერთაშორისო შეჯიბრებაში: 500 მეტრზე — 45,7, 1500 მეტრზე — 2.26,8. სსრ კავშირის ჩემპიონმა სპრინტში ვ. მურატოვმა საციგურაო რეკორდი დაამყარა 500 მეტრზე — 40,5. დღეს საბჭოთა მოციგურავეების გამარჯვებით დამთავრდა ორივე მატჩი: რსფსრ — შვეციისა და რსფსრ — ფინეთისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟენევის ექო




3



1



4



2

ფიგურულმა სრიალმა ბოლო ხანს ძალზე დიდი პოპულარობა მოიხვეჭა. მსოფლიო ტელეეკრანებზე დროის მოკლე მონაკვეთში უჩვენეს ევროპის ჩემპიონატი, ოლიმპიური თამაშები და მსოფლიო პირველობა. სულ ახლახან მოსკოვის სპორტის სასახლეში ჩვენც „დავესწარით" დიდ სანახაობას — ფიგურული სრიალის მსოფლიო ვარსკვლავების გამოსვლას. ასე რომ, ეს სახეობა მოსაწყენი არაა და ამიტომ ჩვენს მკითხველებს კიდევ ვთავაზობთ ჟენევის მსოფლიო ჩემპიონატის ამსახველ ფოტოგვერდს.

ელექტროტაბლო მაღალ შეფასებას გამოხატავს. ეს ხომ ბრწყინვალე გამოსვლის შედეგია! (სურათი № 1).

მეორე სურათზე თქვენ ხედავთ „დამნაშავეებს" — ინგლისელ მოცეკვავეთა წყვილს: დიანა ტაულერსა და ბერნარდ ფორდს. ეს მაღალი ქულები უკვე მსოფლიო ჩემპიონობას ნიშნავს და ამიტომ სპორტსმენები სიხარულით ულოცავენ ერთმანეთს.

რეკლამა, რეკლამა! ქუჩაში გვერდით ჩაგივლით სპეციალურ მანქანაზე თავმომწონედ „წამომჯდარი" ვეებერთელა მუტაფორული ძეხვი, ლუდი, ფრანგული, იტალიური თუ ადგილობრივი წარმოების ღვინის ბოთლი. „კოკა-კოლას" რეკლამებს ხომ თვლა არა აქვს. მესამე სურათზე ალბეჭდილი ჟენევის ერთ-ერთი კუთხეც ხომ რეკლამებითაა სავსე. მათი შუქი არასდროს არ ქრება, რეკლამა ანთია დღისით, ღამით.

შეჯიბრებას ყველა თავისებურად განიცდის. მეოთხე სურათზე მარცხნივ მჯდარი წყვილი ერთმანეთში საუბრით გართულა, პირველი რიგის ბოლოს მოკალათებული წყვილიც სხვა საქმითაა დაკავებული. მხოლოდ ცენტრში მჯდარ გოგონას შეიძლება ვუწოდოთ ნამდვილი მაყურებელი. საქმე კარგად არც მეორე რიგშია. დედა-შვილს აშკარად სძინავს. მაინცდამაინც დიდ ინტერესს ვერც სხვა მაყურებლები იჩენენ.

მსოფლიო ჩემპიონატს ბევრი წინათ გამოჩენილი სპორტსმენიც ესწრებოდა. ფირმა „ოლივეტის" მიერ გამართულ ბანკეტზე ცნობილ ავსტრიელ ფიგურისტს, შემდგომში ამ ქვეყნის „აის რევიუს" წევრსა და ფიგურისტთა ცხოვრების ამსახველი ფილმების უცვლელ მონაწილე ევა პავლიკს შევხვდით (სურათი № 5).

— ჩვენი მეფობის დროს სად იყო ასეთი მაღალი ტექნიკა. ახლა ყინულის სარბიელზე საოცარი რამ ხდება, — განაცხადა მან.

დღისით ჟენევის ქუჩებში დიდი მოძრაობაა. ურიცხვი ავტომანქანა უდიდესი სიჩქარით დაჰქრის. გიკვირს, ამდენ მანქანას სადა აქვს ღამის ნავთსაყუდარი. ქუჩები, ეზოები, სპეციალური გარაჟები სავსეა სხვადასხვა ფირმის ავტომანქანებით. მეექვსე სურათზე თქვენ ხედავთ ჟენევის ერთ-ერთი მრავალსართულიანი გარაჟის შენობას.

ტექსტი ზ. ჯაფარიძისა,

ფოტო მ. ზარბარიანისა.

(ჩვენი სპეც. კორესპონდენტები).

ჟენევა — თბილისი. თებერვალი — მარტი.



5



6

გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინის სანერგე მეურნეობის მშვილდოსანთა გუნდი რამდენიმე წელია წარმატებით მონაწილეობს „კოლმეურნის" მშვილდოსანთა პირველობებში. 1966 წელს ვეჯინელთა გუნდმა II, 1967 წელს კი III ადგილი დაიკავა.

ვეჯინელებს ხუთი წელია ავარჯიშებს სპორტის ოსტატი ნ. ყალაბეგაშვილი. ახლა მშვილდოსნები ემზადებიან საკავშირო პირველობისთვის, რომელიც მაისში ჩატარდება ლენინგრადში.

ს უ რ ა თ ზ ე: ნ. ყალაბეგაშვილი ამეცადინებს ვეჯინელ მშვილდოსნებს.

ფოტო გ. გაბუნიასი.



## მოკლედ

რიო-დე-ჟანეირო. ცნობილმა მეკარემ ჟილმარმა გადაწყვიტა თავი დაანებოს თამაშს. იგი თავის კლუბ „სანტოსში" დარჩება ერთ-ერთ მწვრთნელად.

სოფია. ბულგარეთის ნაკრების ხელმძღვანელობამ იტალიელებს შესთავაზა ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალური შეხვედრების თარიღი: 28 აპრილს სოფიაში, ხოლო 12 მაისს — იტალიის ნებისმიერ ქალაქში.

ვენა. ავსტრიის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად მ. ალგეს ნაცვლად მიწვეულია დასავლეთგერმანელი სპეციალისტი დ. კრამერი. იგი ადრე გფრ-ის ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელი იყო, შემდეგ კი ფიფა-ს ინსტრუქტორი შორეულ აღმოსავლეთში.

ლონდონი. ინგლისელი მიმომხილველები იუწყებიან, რომ ძალზე გახშირდა მოთამაშეთა გადასვლა კლუბიდან კლუბში. 1967 წლის დასაწყისიდან დღემდე პროფესიულმა კლუბებმა გაყიდეს 200 ფეხბურთელი 4 მილიონი გირვანქა სტერლინგის საერთო ღირებულებით.

პრაღა. ცნობილმა კლუბმა „სპარტამ" ააშენა პირველხარისხოვანი გადახურული სტადიონი, რომელიც 40 ათას კაცს დაიტევს. იგი საზეიმოდ გაიხსნება 9 ოქტომბერს ჩეხოსლოვაკიისა და გდრ-ის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩით.

**FOTBAL • CALCIO • KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGÁS • NOGOMET**

# დღეს და დღევანდლამდე...

დღეს ტაშკენტში შედგება ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩი ფეხბურთში მოსკოვის „ტორპედოსა" და უელსის „კარდიფ-სიტის" შორის. პირველი თამაში მოსკოველებმა, როგორც ცნობილია, მოწინააღმდეგის მინდორზე წააგეს ანგარიშით 0:1 და ნახევარფინალში გასასვლელად დღეს უნდა გაიმარჯვონ მინიმუმ 2 ბურთის განსხვავებით.

ფეხბურთის მოყვარულთ საშუალება ეძლევათ ნახონ მატჩის ტელეტრანსლაცია ტაშკენტიდან. რეპორტაჟი დაიწყება 16 საათსა და 30 წუთზე, ხოლო ვიდეოჩანაწერის გადაცემა მოხდება 22 საათსა და 15 წუთზე (დრო თბილისისაა).

ვფიქრობთ, მკითხველთათვის ინტერესმოკლებული არ იქნება გაეცნონ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მსვლელობას დაწყებიდან დღემდე.

### I წრე

| | | |
|---|---|---|
| „სეტუბალი" (პორტუგალია) — „ფრედრიკშტადი" (ნორვ.) | 5:1 | 2:1 |
| „აბერდინი" (შოტლანდია) — „რეიკიავიკი" (ისლანდია) | 1:0 | 4:1 |
| „დიორი" (უნგრეთი) — „აპოლონი" (კვიპროსი) | 5:0 | 4:0 |
| „ვალენსია" (ესპანეთი) — „კრუზადერსი" (ჩრ. ირლანდია) | 4:0 | 4:2 |
| „ვისლა" (პოლონეთი) — ხიკ-ი (ფინეთი) | 4:1 | 4:0 |
| „მილანი" (იტალია) — „ლევსკი" (ბულგარეთი) | 5:1 | 1:1 |
| „ბრედა" (ჰოლანდია) — „ფლორიანა" (მალტა) | 2:1 | 1:0 |
| „სტიაუა" (რუმინეთი) — „აუსტრია" (ავსტრია) | 2:0 | 2:1 |
| „ტოტენჰემი" (ინგლისი) — „ჰაიდუკი" (იუგოსლავია) | 2:0 | 4:3 |
| „ბავარია" (გფრ) — „პანათინაიკოსი" (საბერძნეთი) | 5:0 | 2:1 |
| „არისი" (ლუქსემბურგი) — „ლიონი" (საფრანგეთი) | 3:0 | 2:1 |
| „ჰამბურგი" (გფრ) — „ფრეია" (დანია) | 5:3 | 2:0 |
| „სპარტაკი" (ჩეხოსლოვაკია) — „ლოზანა" (შვეიცარია) | 2:3 | 2:0 |
| „სტანდარდი" (ბელგია) — „ალთაი გენჩლიკი" (თურქეთი) | 3:2 | 0:0 |
| „კარდიფ-სიტი" (უელსი) — „შემროკ როვერსი" (ირლანდია) | 1:1 | 2:0 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) — „მოტორი" (გდრ) | 0:0 | 1:0 |

### II წრე

| | | |
|---|---|---|
| „სტანდარდი" (ბელგია) — „აბერდინი" (შოტლანდია) | 3:0 | 0:2 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (ჩეხოსლოვაკია) | 3:0 | 3:1 |
| „ბავარია" (გფრ) — „სეტუბალი" (პორტუგალია) | 6:2 | 1:1 |
| „კარდიფ-სიტი" (უელსი) — „ბრედა" (ჰოლანდია) | 1:1 | 4:1 |
| „ლიონი" (საფრანგეთი) — „ტოტენჰემი" (ინგლისი) | 1:0 | 3:4 |
| „მილანი" (იტალია) — „დიორი" (უნგრეთი) | 2:2 | 1:1 |
| „ჰამბურგი" (გფრ) — „ვისლა" (პოლონეთი) | 1:0 | 4:0 |
| „ვალენსია" (ესპანეთი) — „სტიაუა" (რუმინეთი) | 3:0 | 0:1 |

### მეოთხედფინალები

| | | |
|---|---|---|
| „ვალენსია" (ესპანეთი) — „ბავარია" (გფრ) | 1:1 | 0:1 |
| „ჰამბურგი" (გფრ) — „ლიონი" (საფრანგეთი) | 2:0 | 0:2 |
| „სტანდარდი" (ბელგია) — „მილანი" (იტალია) | 1:1 | 1:1 |
| „კარდიფ-სიტი" (უელსი) — „ტორპედო" (მოსკოვი) | 1:0 | ? |

გათამაშების ნახევარფინალში გავიდა „ბავარია" (გფრ), ხოლო „ჰამბურგსა" და „ლიონს", აგრეთვე, „სტანდარდსა" და „მილანს" წინ აქვთ მესამე, დამატებითი მატჩები.

## ახალი ხელმძღვანელი

პოლონეთის ფეხბურთელთა ნაკრების ახლანდელმა ხელმძღვანელმა მატიაშმა განცხადება შეიტანა თავისი გადადგომის შესახებ. პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციამ ჯერ თხოვა მატიაშს დარჩენილიყო ნაკრებში, შემდეგ კი მიიღო მისი გადადგომა.

მატიაშის ნაცვლად ნაკრების ხელმძღვანელად დანიშნულია ცნობილი მწვრთნელი კონცევიჩი, რომელიც ადრე რამდენიმე წლის განმავლობაში წარმატებით მუშაობდა ამ თანამდებობაზე.

## 6 წლით ადრე

გფრ-ის ფეხბურთის ფედერაციამ ჩამოაყალიბა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საქმეებს უხელმძღვანელებს.

საორგანიზაციო კომიტეტმა დაასახელა ქალაქები, სადაც შეიძლება მსოფლიო ჩემპიონატის თამაშები ჩატარდეს.

სამხრეთის ჯგუფი: მიუნჰენი, ნიურნბერგი, აუგსბურგი.

სამხრეთ-დასავლეთის ჯგუფი: მაინის ფრანკფურტი, ლუდვიგსჰაფენი, შტუტგარტი, საარბრიუკენი.

დასავლეთის ჯგუფი: კიოლნი, ესენი, დიუსელდორფი, დორტმუნდი.

ჩრდილოეთის ჯგუფი: დას. ბერლინი, ჰამბურგი, ჰანოვერი.

## ეუსებიოს მეტოქე

პორტუგალიის „ბენფიკას" ხელმძღვანელობას თავის დიდ წარმატებად მიაჩნია ახალგაზრდა ზანგი ფორვარდის აბელის შეძენა. ისევე, როგორც ეუსებიო, ისიც მოზამბიკის ქალაქ ლორენცო-მარკიზში დაიბადა (1946 წ. 4 მარტს), 171 სმ სიმაღლისაა და 70 კგ-ს იწონის. შარშან აბელმა მოზამბიკის საფეხბურთო ჩემპიონატის 20 მატჩში 42 გოლი გაიტანა. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ აბელი სულ მალე სერიოზულ კონკურენციას გაუწევს ეუსებიოს.

## „ამნისტია" ინგლისში

ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ შარშან დისკვალიფიცირებულად გამოაცხადა ყველა ის მოთამაშე, რომელმაც აშშ-ს პროფესიულ ლიგაში დაიწყო გამოსვლა.

ახლა, როცა ფიფა-მ ოფიციალურად ცნო ამერიკული ლიგა, ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ შეცვალა თავისი გადაწყვეტილება. იმ მოთამაშეებს, რომლებიც აშშ-ში გადავიდნენ, შეუძლიათ თავიანთ ყოფილ ინგლისურ კლუბებს დაუბრუნდნენ. მათ არავინ დასჯის. იმათთვის კი, რომლებიც აშშ-ს პროფესიულ ლიგაში გამოსვლას არჩევენ, ამერიკულმა კლუბებმა უნდა გადაიხადონ გარკვეული გასამრჯელო.

# რეკორდებით დაიწყო

მინსკის საწყლოსნო სპორტის სასახლეში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი ცურვაში „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე. საასპარეზოდ თავი მოიყარა სსრ კავშირის, ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, ჰოლანდიის, იტალიის, გფრ-ის, პოლონეთის, რუმინეთის, ფინეთისა და ჩეხოსლოვაკიის 500-მდე სპორტსმენმა. ეს ტურნირი ჩვენი კონტინენტის მოცურავეების ძალთა მორიგი შემოწმებაა მეხიკოს ოლიმპიადის წინ, ამიტომ ყველა ქვეყანამ საუკეთესო სპორტსმენები გამოგზავნა.

პირველსავე დღეს კარგი შედეგები აჩვენეს. ლენინგრადელმა სტუდენტმა ტ. საველიევამ ორი საკავშირო რეკორდი დაამყარა: 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში მან 1 წუთი და 9,8 წამი აჩვენა, რაც 0,7 წამით აღემატება მის მიერვე 4 წლის წინათ დამყარებულ რეკორდს, 200 მეტრი გულაღმა კი 2 წუთსა და 30,6 წამში გაცურა, რითაც შარშანდელი საკუთარი რეკორდი 0,8 წამით გააუმჯობესა. თავი ისახელა ტაშკენტელმა ნ. უსტინოვამაც. 200 მეტრზე თავისუფალი სტილით მან 0,3 წამი „ჩამოაჭრა" მოსკოველ ტ. სოსნოვას შარშანდელ საკავშირო რეკორდს. უსტინოვას შედეგია 2.17,9. ამ ორს არც პერმელი ლ. ზახაროვა ჩამორჩა. მან 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში 2.31,6 აჩვენა. ეს შედეგი 0,4 წამით სჯობს ს. შტეინბახის (გდრ) ევროპის ოფიციალურ რეკორდს და 0,8 წამით აღემატება საკავშირო მიღწევას, რომელიც თავად ზახაროვამ დაამყარა შარშან. სტუმრებიდან თავი გამოიჩინა ჰოლანდიელმა ა. კოკმა, რომელმაც მოიგო ბატერფლაით 100 მეტრზე ცურვა — 1.07,7. ტ. დევიატოვამ მეორე ადგილი დაიკავა — 1.08,1.

მასპინძლების უპირატესობით აღინიშნა ვაჟების ტურნირი 100 მეტრზე ბატერფლაით, ბრასითა და თავისუფალი სტილით ცურვაში. თავისუფალი სტილით ცურვა მოიგო სსრ კავშირის რეკორდსმენმა, მოსკოველმა ლ. ილიჩოვმა — 53,4; ბატერფლაით ცურვა — ვ. ნემშილოვმა — 59,3. ვეტერანმა გ. პროკოპენკომ ბრასით ცურვაში ჩამოიტოვა ნ. პანკინი, ი. მარჩუკოვი, ვ. კოსინსკი, ლ. ზავიალოვი, ე. მიხაილოვი, ნ. დუბროვინი (ყველა — სსრ კავშირი) და ე. ჰენინგერი (გდრ). მისი შედეგია 1.07,5.

ჰოლმენკოლენის 70-ე ტრადიციულ თამაშებში ნორვეგიის, შვეციისა და ფინეთისთვის წლეულს პირველად შემოიღეს გუნდური ჩათვლა, რამაც მოთხილამურეთა ამ შეჯიბრებას სიმწვავე შემატა. სხვა ქვეყნების წარმომადგენლები მხოლოდ პირად ტურნირში ასპარეზობენ. გრენობლის ორგზის ჩემპიონმა ტ. გუსტაფსონმა (შვეცია) 10 კილომეტრზე რბენაში გამარჯვების შემდეგ 5 კილომეტრზე დამარცხების სიმწარე იწვნია. მას მოუგო ფინელმა ს.

# პუსულას რევანში

პუსულამ (16.37,5). 15 კილომეტრზე ყველას აჯობა ე. მიანტიურანტამ (ფინეთი), რომელმაც ამ მანძილზე რბენის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი (46.30,5) აჩვენა.

სსრ კავშირის სპორტსმენები ორჭიდსა და ტრამპლინიდან ხტომაში გამოდიოდნენ. ორჭიდში რბენის შემდეგ ამერიკელი პედაგოგი, 27 წლის ჯ. ბაუერი დაწინაურდა — 50.22,0. ვ. დრიაგინმა მასთან 1.05,2 წააგო და IX ადგილზე იყო. დრიაგინმა ხტომებში საგრძნობლად გაიუმჯობესა მდგომარეობა. 83,5 და 80 მეტრის ჩვენებით მან 220,9 ქულა დააგროვა, ორჭიდში კი — 446,51 ქულა, რამაც III ადგილი მოუპოვა. გაიმარჯვა ბაუერმა — 457,8. გრენობლის ოლიმპიადის ჩემპიონი ფ. კიოლერი (გფრ) დრიაგინს 6 ქულით ჩამორჩა.

ტრამპლინიდან ხტომაში თავიდანვე მსოფლიოს ჩემპიონი ვირკოლა დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ ვ. ბელოუსოვმა იმარჯვა. ბოლო ცდაზე იგი 87 მეტრზე გადახტა და საბოლოოდ პირველობაც გაინაღდა. აღსანიშნავია, რომ ბელოუსოვი სსრ კავშირის მესამე მხტომელია, რომელმაც ჰოლმენკოლენის თამაშები მოიგო. 1958 წლის ტურნირში ყველას ნ. კამენსკიმ აჯობა, 3 წლის შემდეგ კი ნ. შამოვი იყო უძლიერესი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

თბილისის ტურისტული კლუბი აარსებს მუდმივად მოქმედ ახალგაზრდულ ერთიან ტურისტულ სკოლას. ჯგუფები შეიქმნება შემდეგ სახეობებში:

**ტურისტულ ორიენტირებაში,**
**სამთო ტურიზმსა და ქვეითად მოგზაურობაში,**
**საბაიდარო და საიალქნო ტურიზმში,**
**სპელეოტურიზმში,**
**სამთო-სათხილამურო ტურიზმში.**

პარალელურად იმუშავებს ტურორგანიზატორთა და ტურისტულ მსაჯთა მოსამზადებელი სემინარები.

ტურისტულ სკოლაში (და სემინარებზე) მიიღებიან ფიზიკურად ჯანმრთელი ქალები და ვაჟები 16-დან 23 წლის ასაკამდე. მეცადინეობა ჩატარდება საველე და სალაშქრო პირობებში (წარმოებიდან მოუწყვეტლივ).

მსურველთა განცხადებები მიიღება ა. წ. 30 მარტამდე. მეცადინეობა დაიწყება 2 აპრილიდან. ცნობების გაცემა და მსურველთა ჩარიცხვა — ყოველდღე (გარდა შაბათ-კვირისა), დილის 10 საათიდან საღამოს 18 საათამდე. მისამართი — პლეხანოვის პრ. № 5, თბილისის ტურისტული კლუბი. ტელეფონი — 95-75-65.

## [illegible]

მოსკოვში გაიმართა მაგიდის ჩოგბურთელთა უკანასკნელი მატჩი ევროპული ლიგის 1967-1968 წლების გუნდურ პირველობაზე. საბჭოთა სპორტსმენებმა მოუგეს ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს ანგარიშით 5:2 და ჩემპიონობაც მოიპოვეს. ჩვენს გუნდში თამაშობდნენ ა. ამელინი, ს. გომოზკოვი და ზ. რუდნოვა. ჩეხოსლოვაკიელებმაც 5 ქულა დააგროვეს, მაგრამ II ადგილზე დარჩნენ (უპირატესობა მიეცა გუნდს, რომელსაც მთელს ტურნირში მოგებულ და წაგებულ შეხვედრათა უკეთესი ბალანსი აღმოაჩნდა). III-IV ადგილები შესაბამისად დაიკავეს უნგრეთისა და ინგლისის გუნდებმა (4-4 ქულა), V-VI — გფრ-ისა და ავსტრიის ჩოგბურთელებმა (1-1). ბოლო, VII ადგილზე გავიდა ჰოლანდიის ნაკრები, რომელსაც არც ერთი მატჩი არ მოუგია.

## „დინამო" — გდრ-ში

თბილისის „დინამოს" კალათბურთელებმა ჩემპიონატის ბოლო მატჩი 15 მარტს კიევში ჩაატარეს. ახლა დინამოელებს „არდადეგები" აქვთ, რომელსაც ისინი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაატარებენ. ჩვენი კალათბურთელები რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გამართავენ ადგილობრივ გუნდებთან და შინ დაბრუნდებიან.

საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული შეხვედრა „დინამოს" ექნება თბილისში, 24 მარტს, ბაქოს „ბურევესტნიკთან".

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა ლენინის ქ. № 14. 6 უე 03988